Monthly Newsletter
ივლისი, 2025
Vol. 2, Issue 7

SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS

PRME SIGNATORY MEMBER

LIBRA ALLIANCE

GRUNI
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი
GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY



მდგრადი განვითარების ცენტრი
GRUNI SDGs CENTER

მოგესალმებით ივლისის გამოცემით!

ერთად გავეცნოთ ცენტრის პროგრესს მდგრადი განვითარების მიმართულებით. ამ თვის გამოცემაში გაგაცნობთ ინოვაციურ პროექტებს, სამომავლო ღონისძიებებს და ამ ღონისძიებებში მონაწილეობის გზებს!

Website

Facebook

SDSN-ის SDG Transformation Center-ის მიერ მომზადებული მდგრადი განვითარების 2025 წლის ანგარიში (SDR 2025) უკვე ხელმისაწვდომია. ანგარიში გამოკვეთს, რომ მიუხედავად უპრეცედენტო გლობალური მონაწილეობისა (მოხსენება 193 ქვეყნიდან 190-მა წარადგინა), მხოლოდ 17%-ის შემთხვევაში იკვეთება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის დადებითი ტენდენცია.

იხილეთ სრული ანგარიში:
https://sustainable-development-report-2025.pdf

მნიშვნელოვანი პროექტი:

GRUNI-ის მდგრადი განვითარების ცენტრი AoM-ის საერთაშორისო კონფერენციაზე

2025 წლის 25-29 ივლისს, AoM-ის რიგით 85-ე წლიურ შეხვედრაში, GRUNI-ის მდგრადი განვითარების ცენტრის თანადამფუძნებელი და Libra Alliance-ის პრეზიდენტი - მეჰდი მაჯიდი, ცენტრის დირექტორი - თამარ ბიწაძე და ცენტრის უფროსი მკვლევარი - ნინო საჩალელი, მონაწილეობდნენ.

ცენტრის წარმომადგენელთა ორგანიზებით კონფერენციაზე ორი თემატური ვორკშოპი ჩატარდა - „კულტურული ფაქტორები მდგრადი განვითარების კურიკულუმში - საქართველოს კულტურული პერსპექტივები“ & „მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) განათლების სისტემაში ინტეგრაციის სოციალური კონსტრუქციები“.

შეგახსენებთ, რომ მენეჯმენტის აკადემია(AoM) არის გამორჩეული პროფესიული ასოციაცია მენეჯმენტისა და ორგანიზაციული მართვის სფეროს პროფესიონალთათვის, რომელშიც ერთიანდებიან დარგის წამყვანი სპეციალისტები, მათ შორის პროფესორები და ბიზნესის სკოლისა და მომიჯნავე სფეროს დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტები მსოფლიოს მასშტაბით. პროექტის სტრატეგიული მიმართულება იმ ზეგავლენის სტიმულირებაა, რომელსაც მენეჯმენტი და ორგანიზაციული მეცნიერება ახდენს ბიზნესებსა და საზოგადოებაზე მსოფლიოს მასშტაბით.

კონფერენცია წარმოადგენდა პლატფორმას ცენტრისა და უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის გასაზრდელად და თანამშრომლობითი სახის ურთიერთობების გასაფართოებლად.

მდგრადი განვითარების ცენტრი მადლობას უხდის ლიბრა ალიანსსა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს ამ შესანიშნავი შესაძლებლობისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიჰყევით ბმულს:
https://www.facebook.com/share

info.sdgscenter@gruni.edu.ge
+995 557 311 556; +995 (32) 23 84406(211)

Monthly Newsletter
ივლისი, 2025
Vol. 2, Issue 7

SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS

PRME SIGNATORY MEMBER

LIBRA ALLIANCE

GRUNI
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი
GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY

მდგრადი განვითარების ცენტრი
GRUNI SDGs CENTER

პროგრეს-ანგარიში

SDG ოლიმპიადა 2025

2025 წლის 9-11 ივნისს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, როგორც ოლიმპიადის ოფიციალურ მასპინძელ ორგანიზაციაში, მდგრადი განვითარების ცენტრის ორგანიზებით, ქენევის უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული SDG ოლიმპიადა 2025-ის ფარგლებში, სოციალური მეწარმეობის სამდღიანი ვორკშოპი ჩატარდა. ცენტრის წარმომადგენლები და მენტორები ვორკშოპის მონაწილეებთან ონლაინ საკონსულტაციო შეხვედრებს აქტიურად აგრძელებენ, სოციალური მეწარმეობის ბინზესკონცეფციების საბოლოო ვერსია კი SDG ოლიმპიადის გუნდს 24 აგვისტომდე გადაეგზავნება.

კედლის მხატვრობა - მდგრადი განვითარების შესახებ ცნობიერების ამაღლების კონკურსი

GRUNI-ის მდგრადი განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული კედლის მხატვრობის კონკურსი ხელოვანებს სთავაზობს შესაძლებლობას, ქუჩის მხატვრობის გზით წვლილი შეიტანონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) პოპულარიზაციის პროცესში. პროექტი ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ArtOa-ს მხარდაჭერით.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიჰყევთ ბმულს:
https://www.gruni.edu.ge/main/news

EXCITING NEWS

მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი გაეროს პასუხისმგებლიანი განათლების მენეჯმენტის პრინციპების (UN PRME) ოფიციალური ხელმომწერი წევრია. PRME-ის წევრობით GRUNI ერთგულებას უცხადებს UN PRME-ის 7 პრინციპს და მაქსიმალურად ცდილობს, ხელი შეუწყოს მაღალი ეთიკური სტანდარტების, კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადი ტრანსფორმაციის პრინციპების დანერგვას საგანმანათლებლო კურიკულუმში.

GRUNI-ის ახალი, ინოვაციური სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტის მიმართულებით შესაბამისობაშია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs), პასუხისმგებლიანი განათლების მენეჯმენტის პრინციპებსა (PRME) და გლობალურ შეთანხმებასთან (UNGC).

მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტის ახალი საგანმანათლებლო პროგრამებია:

- მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამა (3 წელი | 60 კრედიტი)
- მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა (2 წელი | 120 კრედიტი)
- მდგრადი ბიზნესის ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა (1 წელი | 60 კრედიტი)

GRUNI-ის აღნიშნული ინიციატივა მდგრადი ბიზნესის მიმართულებით ხაზს უსვამს უნივერსიტეტის ინოვაციურ ხედვას და იმ აქტუალურ ტენდენციებს, რომლებიც დღეს გლობალური ეკონომიკის დღის წესრიგში დგას. პროგრამები ინოვაციურია არამხოლოდ საქართველოს, არამედ რეგიონის მასშტაბით. სააკრედიტაციო პროცედურების წარმატებით დასრულების შემდგომ, GRUNI სტუდენტების პირველ ნაკადს 2025 წლის სექტემბრიდან მიიღებს.

FOLLOW US

Facebook SDGs Center

ეწვიეთ ვებ-გვერდს:
GRUNI SDGs Center

RECOMMENDED

წყაროები:
https://www.unprme.org/
https://sdgs.un.org/goals

info.sdgscenter@gruni.edu.ge
+995 557 311 556; +995 (32) 23 84406(211)